

აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან და ამავე პოპულაციის ზომის შეფასება

მოდული:	HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება
ინტერვენცია:	Surveys - კვლევები

აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფში - მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით ბიომარკერული/ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის განხორციელება.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

გეოგრაფიული მოცვა: კვლევა უნდა განხორციელდეს საქართველოს 3 რეგიონში - თბილისი, ქუთაისი, და ბათუმი;

მსმ-ებისა შერჩევის ზომა

მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან - არანაკლებ 650 ადამიანისა, შემდეგი გეოგრაფიული განაწილებით:

- თბილისი - არანაკლებ 300 ადამიანისა;
- ბათუმი - არანაკლებ 225 ადამიანისა;
- ქუთაისი - არანაკლებ 125 ადამიანისა;

სამიზნე ჯგუფის აღწერა

მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან

1. ბიოლოგიური სქესი - მამრობითი
2. აქვს/ჰქონია სქესობრივი (როგორც პასიური, ისე აქტიური) კონტაქტი (ანალური ან ორალური) სხვა მამაკაცთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში
3. სრულწლოვანი (18 ან მეტი წლის) კვლევაში ჩართვის მომენტისათვის
4. არის საქართველოს მოქალაქე
5. ცხოვრობს ან მუშაობს საქართველოში

ბიომარკერული კვლევა

ბიომარკერული კვლევა ტესტირება უნდა მოიცავდეს სკრინინგულ და კონფირმაციულ კვლევებს აივ ინფექციისა და C ჰეპატიტზე, ასევე სიფილისზე, ქლამიდიასა და გონორეაზე ტესტირებას;

ბიომარკერული ტესტირება

კვლევის ფარგლებში ბიომარკერული კომპონენტი უნდა მოიცავდეს სისხლის ნიმუშების ანალიზს აივ-ზე და C ჰეპატიტზე. აივ-ზე სკრინინგისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სწრაფი მარტივი ტესტი, კონფირმაციისთვის პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია. C ჰეპატიტზე სკრინინგისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სწრაფი მარტივი ტესტი, კონფირმაციისთვის პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR), კორ-ანტიგენის (HCVcAg) ან GeneXpert აპარატის ტესტი.

სიფილისზე სისხლის ნიმუშები უნდა იყოს ტესტირებული SYPH IgM Elisa ტესტის ან TP RT/PRP და TPHA ტესტების მეშვეობით.

გონორეაზე და ქლამიდიაზე შარდის ნიმუშების შემოწმება უნდა მოხდეს პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (PCR) ტესტი ან GeneXpert აპარატის ტესტი.

მიმწოდებელი პასუხისმგებელია აივ ინფექციაზე, C ჰეპატიტსა და სიფილისზე სწრაფი მარტივი ტესტირების განხორციელებაზე. სკრინინგული კვლევებისათვის ტესტ-სისტემების მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი. შემსყიდველი ასევე უზრუნველყოფს აივ ინფექციაზე, C ჰეპატიტსა და სიფილისზე კონფირმაციული ლაბორატორიულ კვლევების განხორციელებას.

მიმწოდებელი პასუხისმგებელია საკვლევი ნიმუშების (სისხლი, შრავი, შარდი) შემსყიდველისათვის მიწოდებაზე ცივი ჯაჭვის პრინციპების სრული დაცვით.

აივ ინფექციაზე, C ჰეპატიტსა და სიფილისზე კონფირმაციულ ლაბორატორიულ კვლევებს და გონორეაზე და ქლამიდიაზე კვლევებს განხორციელებას შემსყიდველი განახორციელებს რიჩარდ ლუგარის სახელობის ცენტრისა და საზოგადოებრივი ლაბორატორიების რეგიონული ქსელის მეშვეობით.

ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა

ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა უნდა ჩატარდეს ე.წ. ჯვარედინ-სექციური მეთოდით. რესპონდენტების შეგროვება უნდა მოხდეს ე.წ. Respondent Driven Sampling (RDS) მეთოდოლოგიის გამოყენებით. შემსყიდველთან შეთანხმებით დასაშვებია კვლევის დამატებითი მეთოდების გამოყენება.

უნდა მოხდეს კვლევის მიზნობრივ ჯგუფების წარმომადგენლების მოზიდვა, ე.წ. „მარცვლების“ გამოყენებით.

“მარცვლებთან” უნდა ჩატარდეს ინტერვიუ სპეციალური სტრუქტურიზებული კითხვარით, (შესაძლებელია კვლევის მონაწილეთა მცირე ფულადი წახალისება -მაგ. თითოეული მარცვალის ფულადი წახალისება დამატებითი სამი ახალი რესპოდენტის მოყვანისათვის).

კვლევა უნდა ჩატარდეს ეთიკური ნორმების დადგენილი წესების დაცვის შესაბამისად შესაბამისად აუცილებელი იქნება ბიოეთიკური კომისიის დასკვნის მოპოვება.

ინფექციის მაღალი რისკის შემცველი სამიზნე ჯგუფის - მამაკაცები რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან - პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის განხორციელება.

მსმ პოპულაციის ზომის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს კვლევის შემდეგი მეთოდები:

- ქსელის ზომის განსაზღვრა (Newtork Scale Up)
- ჩაჭერა - უკუჩაჭერა (Capture-Recapture)
- მომსახურების მოხმარების კოეფიციენტის მეთოდი (Service Multiplier Method)
- კოეფიციენტის მეთოდი უნიკალური ნოვთის გამოყენებით (Unique Object Multiplier Method)
- გეი მობილური აპლიკაციებისა და ვებ-გვერდების სერვისების მოხმარება“ (Gay Mobile Apps and Websites Service multiplier)

- ჰენდკოკის RDS - ზე დაფუძნებული მეთოდოლოგია (Handcock's RDS Network Based Method)
- ჯგუფის ცოდნა (Wisdom of Crowd)

ჩამოთვლილი ყველა მეთოდის გამოსაყენებლად უნდა იყოს ჩატარებული ორი ტიპის კვლევა -

1. შინამეურნეობის რანდომული შერჩევა ზოგად მოსახლეობაში (სულ მცირე 1500 ადამიანი);
2. რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა (Respondent Driven Sampling) კვლევის სამიზნე პოპულაციებში (სულ მცირე 350 მსმ)

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

კვლევების შედეგად შეგროვებული მონაცემები უნდა იყოს შეტანილი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, დამუშავებული სტატისტიკურად (მაგ. SPSS, PSPP, Stata etc).

ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემთა შეყვანისა და მართვის ხარისხი.

აღნიშნული ანალიზის შედეგების საფუძველზე უნდა მომზადდეს კვლევების სააანგარიშო დოკუმენტები.

კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა მომზადდეს ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ფორმით.

შემსყიდველის წარმომადგენელთა ტრენინგი და ჩართვა კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე:

ა) მომსახურების მიწოდების პროცესში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წარმომადგენელთა ტრენინგი როგორც სამიზნე ჯგუფებში სარისკო ქცევის შესაწავლის, ისე პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის მეთოდოლოგიაზე.

ტრენინგის მონაწილეთა ვინაობას (სულ მცირე 10 ადამიანი) განსაზღვრავს შემსყიდველი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტრენინგის შედეგად მომზადებული ადამიანების ჩართვა კვლევის ველის განხორციელების პროცესში.

ბ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წარმომადგენელთა ტრენინგი კვლევის მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე.

ტრენინგის მონაწილეთა ვინაობას (სულ მცირე 5 ადამიანი) განსაზღვრავს შემსყიდველი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დატრენინგებული ადამიანების ჩართვა კვლევის შედეგების დამუშავებასა და ანალიზში.

კვლევების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები

აქტივობა 1. კვლევის დეტალური დიზაინის და შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით);

აქტივობა 2. კვლევის ინსტრუმენტის გადახედვა/განახლება, სტრუქტურირებული კითხვარების შემუშავება / მოდიფიკაცია (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით);

აქტივობა 3. კვლევის პროტოკოლის შემუშავება (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით) და დამტკიცება ბიოეთიკის საბჭოს მიერ

აქტივობა 4. ინტერვიუების ტრენინგი და კითხვარების პილოტირება (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით);

აქტივობა 5. შემსყიდველის მიერ ნომინირებული წარმომადგენლების ტრენინგი კვლევის მეთოდოლოგიებსა და ველის ჩატარებაზე; ტრენინგი მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე.

აქტივობა 6. ქცევებისა და ბიომარკერული კვლევის ველის განხორციელება (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით თბილისში);

აქტივობა 7. მონაცემთა შეგროვება და შიდა და გარე ხარისხის კონტროლი

აქტივობა 8. ელექტრონულ ბაზაში მონაცემების შეტანა და ვალიდაცია

აქტივობა 9. მოაცემთა ანალიზი, სინთეზი, ტრიანგულაცია (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით);

აქტივობა 10. პულაციის სავარაუდო ზომის შეფასების მონაცემების განხილვა კონსენსუს შეხვედრაზე

აქტივობა 11. კვლევის ანგარიშის მომზადება (მიმწოდებელის წარმომადგენლების ჩართულობით) და დისემინაცია

მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი ანგარიშები და მოწოდების ვადები:

- ❖ მამაკაცებში, რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან აივ/შიდსის გავრცელების მაღალი რისკის ქცევებისა და აივ ინფექციის, C ვირუსული ჰეპატიტის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (სიფილისი, გონორეა, ქლამიდია) პრევალენტობა საქართველოში, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოდგენის ვადა - 2018 წლის 28 სექტემბერი.
- ❖ საქართველოში მამაკაცების, რომლებსაც სქესობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან პოპულაციის ზომის შეფასება, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოდგენის ვადა - 2018 წლის 28 სექტემბერი.

დამატებით, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს ყოველთვიური ანგარიშები დადგენილი ფორმით ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შესაბამის ფინანსურ ანგარიშებთან ერთად, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე;

ამასთან, მომსახურების მოწოდების პერიოდში შემსყიდველმა შეიძლება მოითხოვოს კვლევის მიმდინარეობის პერიოდული ანგარიშები;

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს კვლევის დამუშავებული, გაწმენდილი მონაცემები. აღნიშნული მონაცემები გახლავთ შემსყიდველის საკუთრება, მიმწოდებლის მხრიდან მონაცემების კვლევის შემდგომ გამოყენება ექვემდებარება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებას.

ანაზღაურება მოხდება ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე.

პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები

5.1. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების მიწოდების გამოცდილება.

5.2. პრეტენდენტს (არსებობის შემთხვევაში მის ქვე-კონტრაქტორს) უნდა გააჩნდეს აივ ინჟექცია/შიდსის ეპიდემიოლოგიის და პროგრამული მონიტორინგის სფეროში კვლევების განხორციელების დოკუმენტურად დასაბუთებული გამოცდილება, კერძოდ:

ა) მაღალი რისკის ჯგუფების (სასრუველია მსმ-ებში) პოპულაციის სავარაუდო ზომის განსაზღვრის სულ მცირე ერთი კვლევის განხორციელების გამოცდილება, დასაბუთებული დოკუმენტურად (კვლევის ანგარიში ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე);

ბ) მაღალი რისკის მქონე და ძნელად მისაწვდომ მოსახლეობის ჯგუფებში (სასრუველია მსმ-ებში) რაოდენობრივი კვლევების: დიზაინის, დაგეგმვის, მართვის, ველის განხორციელების, ველის ხარისხის კონტროლის, მონაცემების ანალიზის და კვლევის ანგარიშების ინგლისურ და ქართულენოვანი ვერსიების მომზადების სულ მცირე ერთჯერადი გამოცდილება. ამ გამოცდილების დასადასტურებლად განაცხადს უნდა დაერთოს ამგვარი კვლევის ელექტრონული ანგარიშები ან პუბლიკაციის ელექტრონული ბმულები;

გ) მომსახურების შესყიდვის პერიოდისთვის პრეტენდენტს ან მის ქვე-კონტრაქტორს გააჩნდეს აქტიური წვდომა პროექტით განსაზღვრულ მაღალი რისკის მქონე ჯგუფებზე (მსმ) მითითებულ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და აღნიშნულ პოპულაციებში სკრინინგული ტესტირებების განხორციელების გამოცდილება. აღნიშნულ ქალაქებში ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტი/პროგრამა, რომელიც კონცენტრირდებოდა პროექტით განსაზღვრულ მაღალი რისკის მქონე ჯგუფებზე და მოითხოვდა მათთან უწყვეტ კონტაქტს ჩაითვლება ამგვარი გამოცდილების დასაბუთებად;

დ) კვლევაში ჩართულ ძირითად პერსონალს უნდა გააჩნდეს მსგავს კვლევაში შესაბამის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;

5.3. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციას 2016 წლიდან მოყოლებული უნდა გააჩნდეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არანაკლებ 500,000.00 ლარის ჯამური ღირებულების მსგავსი პროექტების/კონტრაქტების მართვის გამოცდილება;